

# მეცნიერება

მწყველმან კეთილმან სული  
თვისი დახსნის ცხოვართათვის  
იოან. 10—11.

№ 1

1883—1909 წ.

30 იანვარი

## შ ი ნ ბ ა რ ს ი.

**სალიტერატურულ ბანაკშილიმა:** სიტყვა, თქმული 1 იანვარს 1909 წ. მღვდ კ ცინცაძისაგან, —ახალი წელი  
ლექსი. ბალუციისა. —ნეტარ იყვენ ღვეწული სიმართლისათვის. გაგრძელება, თარგნილი, მღვ. იოანე ლუკა-  
ციისა. —სახლშეიფო სათათბირო —კიდევ ქორების შესახებ. —ახალი ამბები და შენიშვნები.

**სჯავლ და მცენიძიბა ძრისტიანობაივ სარწმუნოებასა დაძითელ-წინობაჲმ:** სიტყვა დეკ. მ. ტყემა-  
ლაძისა. — სიტყვა, თქმული ქრისტეშობის დღეს 25-ს დეკემბერს 1908 წ. მღვ. კ. ცინცაძისა. —რედაქციისაგან. —  
განცხადება.

**სიტყვა.**  
თქმული 1 იანვარს 1909 წელს, ქაჯაშეთის წმ. გა-  
არჯის ეკკლესიასა.

F4091

ღღე დღესა აუწყებს სიტყვასა  
და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნი.  
ერებასა (ფს. 18, 18).

თანხმად ამა სიტყვათა წმ. მეფისა და ფსალ-  
მუნთ-მგალობელისა დავითისა დღევანდელი ღღე,  
გვირგვინი და დასაბამი ახალის წლისა, გვაუწყებს  
და მოგვითხრობს ჩვენ, საყვარელნო, მეტად საყუ-  
რადღობო რასმე, სახელდობრ იგი მოგვითხრობს,  
რომ ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერიდგან (1 კორ.  
7, 29); იგი გვაუწყებს, რომ ჩვენი ცხოვრების  
დღენი ერთის წლით შემოკლდნენ და ცივი სამარ-  
რე ერთის ნაბიჯით მოგვიახლოვდა; იგი მოგვით-  
ხრობს, რომ ბევრნი მათგანი, რომელნიც ამ ერ-  
თის წლის წინად ჩვენთან ერთად განიხარებდნენ  
საუკეთესო მომავალზედ, გვილოცავდნენ ახალს  
წელს და გინატირდნენ ახალს ბედნიერებას—  
ღღეს ჩვენთან აღარ არიან. ისინი განიხვენებენ იქ,  
სადაც ღღე და ღამე განუყრელია, სადაც ახალი  
და ძველი წელი გაერთიანებულია, სადაც იმედებს  
ბედნიერებაზედ და იცნებება ქვეყნიურს კეთილ-  
დღეობაზედ აღრა აქვს ადგილი და სადაც ყოველი  
ჩვენგანი მიიღებს. რაც დაიმსახურა აქა ცხოვრ-

ბით, და რის ღირსათაც იცნობს პირუთენელი  
მსაჯული: წამა უმს კაცს ერთ-გზის სიკვდილი და  
მისს შემდგომად სსჯეული (ებრ. 9, 27). დღევანდელ  
ღღე გვაუწყებს, რომ ზოგიერთი მათგანი,  
ვისაც ღღეს ვხვდეთ ჯან-საღა და სიცოცხლით  
საყვედ და რომელთა კარგად-ყოფნა ყველას გვი-  
ხარის და დღევანდლობა, ამ ახალის წლის განმე-  
ლობაში გამოესალმებთან წუთის სოფელს, წარგმარ-  
თებთან იქ, სადაცა განისვენებენ მამანი და ძმანი  
ჩვენიც, განსჯედად არიან წინაშე საყვართა ქრისტე-  
სათა (2 კორინთ. 5, 10) და მიცემად ანგარიში-  
სა, თუ როგორ გაატარეს თვითთავილი წამი ცხოვ-  
რებისა ამა ქვეყანაზედ, ვინადგან ყოველივე წამი  
ჩვენის ცხოვრებისა არის ნუქი ღვთისა, ბოძებული  
კეთილის საქმისათვის; არის ქანქარი, რომელის  
აფად თუ კარგად მოხმარებისათვის ჩვენ უნდა ვა-  
გოთ პასუხი.

ვის ძალუმს, საყვარელნო, წარსდგეს კანდი-  
რებით ამ საშინელის სამჯავროს წინაშე და სრუ-  
ლის იმედით მოელოდეს სიმართლას გვირგვინს,  
რომელსა მისცემს უფლო მარტო ოდ მათ, ვინც  
შეიყვარეს გამოჩინება მისი (2 კორინთ. 4, 8);  
მას, ვისი შრომა და ღვაწლი ამა ქვეყანაზედ იყო  
ნაყოფიერი, ხოლო ცხოვრება სთენისაღმისა; მას

სახლშეიფო  
მ. ლომიძე



ვინც ყოველივე თავის საქმე შეასრულა თანხმად უფლის მცნებათა; მას, ვისაც ჩვეულებად ქონდა გადაქცეული ანგარიშის გაწევა თავის სინდისთან; მას, რომელიც განიკითხვიდა თავსა თვისსა თანახმად მოციქულის მცნებისა: რამეთუ უკეთუშედა თავსა თვისთა განკეთისხვედით, ანამცა განკეთისხენით (1 კორ. 11, 31).

ამისათვის, განკითხვა თავისა, განსჯა გულის-თქმათა, განზრახვათა, სიტყვათა და მოქმედებათა თვისთა ქრისტიანეთათვის დღემუდამ საქირო და სასარგებლოა. მაგრამ ვინც ჯერ ვერ შესწევია ამას, ვისაც სხვა დრო ვერ უბოძნია ამისათვის, იმათ დღეს შინც უნდა მოიძალონ ამ ფრთად კეთილის საქმისათვის და შეეკითხნენ თავსა თვისსა: როგორ და რა რიგად ვაძრავ, თავი ჩემო, წარსული წელი? რაოდენი ხანი მოანდომე ღვთის მსახურებას, მის ლოცვა-ვედრებას და ქება-დიდებას? ბევრი დრო შესწირე კეთილსა და ნაყოფიერს საქმეს ღვთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ? თუ უფრო მეტი დრო დაჰკარგე ზარმაცობასა და უსაქმობასა შინა, უნაყოფოსა და უსარგებლო საქმეებზედ, ცუდათ ყუუნასა და ბიწიერს ცხოვრებასა შინა?

რა უყავ ის ნიჭი ანუ ნაყოფი, რომელითაც გვირგვინოსან ჰყო უფალმა შრომა შენი? რაზედ დახარჯე ნაშრომი ხელთა შენთა, კეთილსა თუ უკეთურს საქმეზედ, სულის საცხოვრებლად თუ მის წარსაწყენდელად, სადიდებლად ღვთისა და წარსამატებლად მოყვასთა შენთა, თუ განსანებიერებლად ხორცისა შენისა და დასაყმაყოფილებლად ენებათა ღვლავთა შენთა, ასესხე უფალსა გლახაკთა ხელით, თუ მოანდომე მას, ჰამას და განცხრომასა?


მოვალეობის აღსრულების დროს რას უფრო აქცევდი ყურადღებასა, —ზირად სარგებლობას და პატივის მოპოვებას, თუ მოძმეთა სარგებლობას და სინდისის მოთხოვნილებას? კაცთა-გან ელოდი ქება-დიდებასა, თუ, როგორც ქეშმარიტი მონა ქრისტესი, ელოდი სასყიდელს მამისაგან, რომელი არს ცათა შინა? ქველ-მოქმედებას საჯაროდ, კაცთა საჩვენებლად ეწყოდი, თუ გაიდებდი მას წინაშე გულთა მხილავისა მამისათა?

თავისუფალს დროს როგორ ატარებდი ხოლმე, —რა გრძნობანი და მოგონებანი აღიძროდნენ

უფრო ხშირად შენს გულსა და სულში? გაითლისწინე მცნებანი უფლისა, შეადარე მათ გულ-თქმანი, სიტყვანი და საქმენი შენნი და სთქხარ თუ არა მზად კანდიერებით და პირნათლ წარსდგე წინაშე უფლისა და მსახურისა შენისა. ამა კითხვების პასუხი ცხადათ დაგვანახებ თუ რანი ვყოფილვარათ და რანი უნდა ვყოფილიყავით, იგი გვიჩვენებს თუ რა უნდა დავივიწყოთ და რა უნდა დავიხსოვოთ, რა უნდა გავასწოროთ და რა უნდა გავაუმჯობესოთ, რას უნდა დავანებოთ თავი, და რას უნდა მაგრად ჩავკიდოთ ხელი, რომ არ მოგვასწოროს უღმრთებლმა სიკვდილმა მოუშა-ღებელი და არ მიგვეცეს მან საუკუნო ტანჯვასა და მწუხარებასა?

მართალია, ამ გვარად განკითხვა თავისა არა სასიამოვნოა, განსაკუთრებით ისეთს დღეს, რომელსაც სხვები უღარდებოდნენ და მზიარულებით ატარებენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ის, რაც სასიამოვნოა, ხშირად მავნებელია და ის კი, რაც თავდაპირველად მწარეა, საბოლოოდ ტკბილი და მარგებელია. ამისათვის, ყურად ვიღოთ სწავლა, რომელითაც განგვაბრძნო დღევანდელმა დღემ და ვიხელმძღვანელოთ მითა. უმჯობესია სასარგებლოდ, თუმცა არა გარდამეტებულის მზიარულებით გავატაროთ დღე ესე, ვიდრე საიამოვნებით, მაგრამ უსარგებლოდ. ამგვარს შემთხვევაში ჩვენ უნდა წინ გვიდგეს წმ. მოციქულის შემდეგი დარგება: უფველივე გამოიტადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალებთ (1 თესალ. 5, 21). ამინ.

მღვდ. კ. ცინცაძე.



ახალი წელი. (1909)

ცხოვრების ჟამი,	იძვრის და მიღის,
ეს მცირე წამი,	უკლებლად ერთვის
ვითა მდინარე,	ოკვანესა
მარად მღვიძარე,	საუკუნესსა.

მიღის, თან მიიქვს  
ვისაც კი რა აქვს:  
ჭრით—მოქმედება,  
კრემლი—გოდება,  
ბოროტ—კეთილი,  
მწარე თუ ტკბილი,  
თუნდ — რომა შვება,  
თუნდა ვებო.

მიიქვს სიერცემი,  
იქ, ზეციერში,  
სადაც ყველანი  
აღამიანნი,  
ვითა მკოდავნი,  
ვითა მოკვდავნი,  
ადრე თუ გვიან,  
მიიწვევიან.

ყოველი წელი,  
ახალ თუ ძველი,  
ასე მოქმედებს,  
ყველას გვიცხადებს  
და ქვეყნისა,  
ვითა ხრწნადისა,  
მიწიერებას,  
ამაოვბას..

ამ სიბარუოვსა,  
დიდად მწარესა,  
უნდა შეგნება,  
უნდა გონება,  
რომა ღვთიურად  
და ღირსეულად  
კაცნი სცხოვრებდნენ  
და მოქმედებდნენ.

უკანასკნელთა  
წარსულთა წელთა  
თანა წაიღეს  
და წარუდგინეს  
ზენა მსაჯულსა,  
მარად ცხოველსა,  
სია მკოდავთა  
დიდთა ცოდვთა...

აქ გამოცხადდა,  
ოდენ მოაკლდა  
კაცთა ცოდვილსა,  
ღვთაების ქანისა,  
წრფელი გონება,  
ზენა შეგნება,—  
იგი დაბრმავდა  
და გაბოროტდა...

ზეცა პრისხანებს,..  
მიწაცა ჰგოდებს,..  
იგი ექადის,  
იგი მზად არის,  
რომა გაიხსნას,  
უწყალოდ ჩანთქვას  
ბოროტნი შვილნი  
დაბრმავებულნი ..

ახალი წელი,  
ვითა ზენა ხელი,  
ჩვენა გვიითიოვებს,  
ყველას გვაგონებს,  
რომ ეს არ ხდება,  
არა არსდება,  
ჯერ—ჯგერობითა  
ღვთის წყალობითა...

ამის შეგნებას,  
ამის რწმუნებას, —  
სულიერ ხილვას,  
ბოროტის ზოზღვას,—  
ესურვობთ ყველასთვის,  
დიდ მკირედისთვის,  
ვითა კეთილსა,  
ფრიადა ტკბილსა.

წარსული ვიგრძნოთ  
და შევიწინოთ,..  
მიწა ვასვენოთ,  
აღარ ვასველოთ  
კაცთა სისხლითა,  
მათი ცრემლითა,..  
ყველას პატივცეთა,  
ტკბილად მოვექცეთ..

იგენი გონება,  
სრულად ბუნება,  
ამას თხოულობს,  
მასში პოულობს  
თვის ღირსებასა  
და დიდებასა,—  
ახალსა წელსა  
შევიგნოთ ესა...

შევიგნოთ საქმით  
და არა სიტყვით:  
ყველგანა ვთესოთ,  
ყველას ვსწილაოდოთ

ძმათ სიყვარული  
და სიბარუული,  
თანხმად მცნებისა  
დიდ ღვთაებისა.

ამა გრძნობითა,  
ასეთ ცნობითა,  
უხვედთ ახალ წელს,  
ვითა სასურველს;  
იგი წმინდა ვყოთ:  
ღმერთი ვადიდოთ,  
ვალი ვიხადოთ,  
სული ვიფასოთ..

ა. ბაღუევი.

X.

ნება რეპრეზენტაციის სიმატისათვის.\*)

თარგმანი



პარიჟში რამდენიმე წლის წინად სცხოვრებდა  
მხატვარი, რომელიც აცთებდა ქანდაკებას „ქეშ-  
მარიტება“. იმას უნდოდა ქალის სახით გამოცხატა  
ქეშმარიტება ისე, რომ მისი ცნობა აღვიღოდა  
მედიუმიური ერთ ნახევარდღე მისი წმინდა და ნა-  
თელი პირისხისა, და რომ თვით მნახველს ამითი  
გული დასწმენდოდა და სული განათლებოდა. ის  
დიდ-ხანს მუშაობდა ქანდაკებაზე: აწვებდა თიხას,  
ვერ მოიწონებდა, დაშლიდა და ხელმეორედ დაუ-  
წყებდა კეთებას. იმას სხვა ძვირფას სამუშაოს აძ-  
ლევდნენ, მაგრამ იგი ისე იყო შთანთქმული თა-  
ვის მუშაობით, რომ მხოლოდ-ღა თავის „ქეშმა-  
რიტება“ ასხოვდა და იმაზე ფიქრობდა. ამის გუ-  
ლისთვის ის თავის თავსაც ივიწყებდა: სცხოვ-  
რებდა საღადა ბანზე, პატარა უბრალო ოთახში,  
ნახევარზე მშვიტი იყო, ხშირად არ ჰქონდა, რითი  
გაგებებინა ბუხარი. ბოლოს, მორჩა მუშაობას. მხატ-  
ვარმა საუცხოვო მშენებელად განახორციელა თა-  
ვისი აზრი თიხაში. „ქეშმარიტება“ იღვა მის წინ  
ცხოველი მთელი მისის უბიწო სიწმინდით და სი-  
ლამაზით. მხატვარი კმაყოფილი დარჩა თავის თა-  
ვით, მითი რომ შეასრულა საქმე, ღვთისაგან ნამ-

\* იხილეთ „მწყემსი“ № 24 1908 წ.



ცნევი. მაშინ მოაგონდა იმას, რომ კარგა ხანია ის ოთახიდან კარში არ გამოსულა: ბუხარი დიდი ხნის გაუხუბრებელი იყო, გარეთ-კი საშინელი ყინვა იდგა. დავვიანებულ იყო, რომ სხვისთან მისულიყო და შეშა ან ნახშირი რომ ხოხოვნა, დილაძის უნდა მოეცადა. მაგრამ ეს ახალი, სველი თიხა სიცივით გაიყინებოდა, დასკდებოდა და ქანდაკება გაფუჭდებოდა. მაშინ მხატვარი თითონ იხდის ტანისამოსს, ფრთხილათ ახვევს მასში „ქეშმარიტებას“, ზეიდან თბილად ახურავს საბანს, და თითონ-კი კანკალით წვება ლოგინში ნახევრად გახდილი. დილით მოვიდნენ მეგობრები, დადაპაადეს ქანდაკებას. იმან გააკვირა ყველანი მხატვარი კი ამ დროს იღო მკვლარი. იგი ყინვისაგან გაშეშებული იყო; მაგრამ მისი პირი-სახისაგან გამოჰკრთებოდა ნათელი სიხარულისა. როდესაც იყინებოდა, ის არ გრძნობდა სიცივისსაგან წვალებას, იმას უხაროდა, რომ შეჰქმნა და შეინახა „ქეშმარიტება“. როდესაც კაცი შეპყრობილია ერთი რაიმე აზრით და ზრუნვით, იმას დანარჩენი ყოველივე ავიწყდება: დიდი ხნობით აღარა სჯამს, აღარა სჯამს, არ გრძნობს ტკივილს, ძუნწი კაცი, რომელიც ერთ პაპიკზე კანკალებს, მოკვდება მშვიერად სიცივლით ზედ ოკროებით სავსე ყუთზე. საღდათი სამშობლოსათვის ომში არა გრძნობს საიკვდილო ჭრილობას. ერთ წამს გონს მოსული მომაკვდის ხრინწიანის ხმით კითხულობს, ვინ აჯობა, და, როდესაც იმას უპასუხებენ, რომ გამარჯვება იმის მხარეზეა, ის სიხარულით კვდება. ძველი დროის დიდი ნასწული კაცი, არხიმედი, მიწის რატეაზე იდგა და თავისუფლად ანგარიშობდა, ირდესაც ქალაქის ქუჩებში საშინელი ომი იყო და უნდა გადაწყვეტილიყო მისი სამშობლოს ბედი. როცა რომის საღდათი გასისხლიანებულის ხმლით შევარდა მის ოთახში და კითხულობდა იმის სახელს (ნაბრძანები იყო არხიმედისთვის ხელი არ ეხლოთ), არხიმედს ეწყინა, რომ საღდათმა ფეხით წაშალა მისი ანგარიში. იმან ხელი ჰკრა საღდათს და უთხრა: „ნუ ეტები ჩემ დაწერილს!“ არხიმედისთვის ცოდნის ქეშმარიტება უფრო ძვირფასია იყო თვით სიცოცხლეზე. ამისთვის სრულიად გასაგებია, რომ ღვთაური სიმართლის ქეშმარიტება უნდა იყვეს ხალხისათვის უფრო ძვირფასი, მინამ ბედნიერება, ჯანმრთელობა, უფრო ძვირფასი თვით სიცოცხლე-

ზე. სახარება ამბობს: „მსხვევს არს სასუფეველი ცათა კაცთა, ვაქარსა, რომელი ეძიებენ კეთილთა მარგარიტთა. და ჰპოვის. რა ერთი მარგარიტი მრავალ-სასყიდლისა, წაივინდა, და განჰყიდა ყოველად, რაჲცა ედგა, და მოაიყიდა იგი“ (მათ. 13, 45, —46). ნახეთ აბა ძველ ქრისტიანების მოწამეთა სავლავები. იქ განისვენებენ გვამები, ბევრი ტანჯვისაგან დამტვრეულები, მხეცებისაგან დაგლეჯილები, ცეცხლისაგან დანახშირებულები, და მათ საფლავებზე ათასწიორ საღმრთო გამოხატულებებში არ არის არც ერთი ბუევი ნიშანი განსვენებულთა ცხოვრების სიმწარეზე, მათი სიკვდილის საშინელებაზე, ყველგან გამოხატულია მშვიდი მტრედები, კეთილი მწყემსი, ბატონი, ყვაობები, ყურძნის ვაზი, სავსე ტენები. ცხალი ტანჯვა და სიკვდილი სახარების ქეშმარიტების გულისთვის არ აშინებდნენ ქრისტიანებს. იმათ იცოდნენ ქრისტეს სიტყვა იმაზე, რომ სასუფეველი ღვთისა ძალით იდგება, დიდის შრომით, ბევრგვარი მსხვერპლით შეიძინება და რომ მხოლოდ „რომელნი აიძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მათ 11, 12), და ამიტომ დამშვიდებენ სწირავდენ სიცოცხლის ღვთის სიმართლის ძლიერსათვის. იმათ მტკიცეთ სწამდათ, რომ მათ თუმცა მოჰკლამდნენ, მაგრამ ქეშმარიტება არ მოკვდებოდა, და რომ ღვთის სასუფეველის გულისთვის დაღვრილს კრემლის ან ოფლის წვეთის საფასურით ცოტას მიიღო მიუმატებენ ღვთის სასუფეველს სასარგებლოდ, და ეს ასჯერ ასაჩუქრებდა იმათ ღვაწლს, აძლევდა მათ ძალას ახალი შრომისათვის, ახალი მსხვერპლისათვის ღვთის სასუფეველის დასამყარებლად ხალხში.

იგივე ღვაწლი, იგივე შრომა, იგივე მსხვერპლია ეხლაც საქირო ყველა ღვთის სასუფეველის მუშაისათვის, ყველისათვის, რომელიც-კი ემსახურება ან უნდა ემსახუროს ქვეყნად ღვთის სიმართლეს. სიმართლესა და სიკრულს, სიკეთესა და ბოროტებას არ შეუძლიანთ ერთად ყოფნა ისე, როგორც სინათლესა და სიბნელეს, როგორც ყინულსა და ცეცხლს. ერთი სკდილობს მეორეს მოსობას. სიკეთე მოჰქედებს განცხადებულად, პატიოსნურად, სკდილობს გონს მოიყვანოს ხალხი გულწრფელის სიტყვით, აღვიძებს კაცის დაძინებულ სინიღის მხურვალე მოწოდებით ღვთის სიმართლისადმი. ბოროტება-კი, პირიქით, სკდილობს



მოსპოს ყოველივე კეთილი საქმის დაწყება, ყოველივე კეთილი აზრი. არავითარ საშუალებას ის არ ერიდება: სადაც შესაძლებელია, მოქმედებს ძალმომრეობით; სადაც ძალის გატანა არ შეიძლება, იქა ხმარობს ეშმაკობას, პირფერობას, მოტყუებებს; ესეც რომ არ იყვის, ცაყყოფილდება ქორით, საძაგელის ცილის-წამებით, საწყენი ხუმრობით, ბოროტის დაცინვით, ბრიყულოს გაკიცხვით. მოიგონეთ სახარება. როგორც-კი დაიბადა მაცხოვარი, ჩამოვიდა ქვეყნად ღვთის სიმაართლე, ბოროტება სცილილობს იროდის მიერ დაღუბოს ეს სიმაართლე აკენაშვიდ. გადის ოცდა ათი წელიწადი, იესო ლოცვითა და მარხვით ემზადება ხალხის გამოსხნის საქმისათვის, — ბოროტი სული სხვა და სხვა საშეაღებებით, გაპოკლეთ და ეშმაკობით სცილილობს აკლინოს იგი ღვთის გზა. იესო იწყებს ქადაგებას, მას დასცინიან, უწოდებენ მს ბელღებულად (მათ. 12, 24); ამბობენ, რომ ეს ებრაელი არ არის, რომ იმას ეშმაკი ჰყავსო. ასეთია აუტილებელია გზა სიმაართლის; სკეთისა და სიყვარულისა; ასეთია გზა იმით, ვინც ანთ ემსახურება და მათ გასავრცელებლად შრომობს. ასე ყოფილა, ასეა ეხლა და უთუოდ, ასე იქნება შემდეგშიაც. მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს: „ასე სდევნიდენ წინასწარმეტყველებს, რომელნიც იყვნენ თქვენზე წინათ, ასე მდევნიან მე, ასე დაგიწყებენ თქვენც დევნას“.

კაცს რომელსაც თვალები სტკივა, ეწოთიერება მზის სინათლეს; იმას ეჯავრება, როდესაც თვალზეში მიუწათებენ. კაცს, რომელსაც ტუბ ლად სძინავს, ჯავრდება როცა იმას აღვიძებენ, ბურაწიმი ილიანძლება, ჩხუბობს. მაგრამ, როდესაც სახლს ცეცხლი უკიდა, ჩვენ აღარ უყურებთ მძინარე კაცის ჯავრობას; ჩვენ ვცდილობთ გავადვიოთ ის, თუნდაც იმას ბევრიც ეჯავრებოდეს და გვლანძლამდეს ამისთვის, უნდა; თუ არა ავთამყოფ ბავშს მიიღოს მწარე, მაგრამ მისთვის სასარგებლო წამალი, ექიმი მაინც ძალათ ასმევს მას, თუნდაც ბავშვი ყვრილითა და ტირილით უარს ამბობდეს. ამნაირათ უნდა მოქცევა ცხოვრებაშიაც, ბოროტებისთან ბძობლაში, — არ უნდა შევკრთეთ მისის მტრულის შეხვედრით და განწყობილობით.

ხალხის ცხოვრების გზაზე ამოსულია უსამართლოების ხშირი ეკლიანი ძეძვი. ხალხის ბო-


როტება, გარყენილობა და უსჯულოება დაბურვილი გაუვალი ტყესავით, გველობებიან და გზას გვიკარვენ ღვთისაკენ, მის სიუკარულისა და სიმაართლისაკენ, ღვთის სასუფეველისაკენ დედა-მიწაზე. საქორაო, რომ ვინმემ გაიტანოს გზა ამ ხშირ, ასულ ტყეში ღვთის სიმაართლისაკენ, გასწეხოს და გასწმინდოს ეკლიანი ძეძვი; ეს — კია რომ უშრომოდ და გაუქაწერელად ამ საქმის გაკეთება არ შეიძლება: ხან და ხან ტოტი გამოხსლტება და ატკენს კაცს, ხან გამოედება და დიქერს, ხან ძეძვის ეკლები შეერქობა...

როდესაც ომის დროს იეროშით იღებენ მტრების სიმაგრეს, გარშემორტყმულს იღლის თხრით და მაღალის კედლებით. მეომართა პირველ რიგში წინ მდგომარნი იხორციებიან, ან ქროლიობს ღებულობენ. სამაგიეროთ, უკანა რიგებში მდგომნი მეომარნი, როგორც კბზეზე ისე აღიან მოკლულ გმირების გვამებზე, იქერენ სიმაგრეს და აქცევს ბოროტების ძალას. დედა-მიწაზედ არის გამართული მუღმივი ომი, — ომი სიკეთისა და ბოროტების შორის; და ჩვენ ქრისტე მაცხოვრის მოწაფენი მოწოდებულნი ვართ, რომ ზეცის უფროსობით, ღვთის სიმაართლის სადღესასწაულოთ, ვიქონიოთ ბძობლა ბოროტებასთან და უსამართლოებასთან. ნუ გეშინიანთ დაცივნისა და ბოროტების ცილის-წამებისა. პირ-აღმართ, ციკაბო მთზე ასვლა უდაუშევებლად, უწუქცეულად და გაუკაწერელად შეუძლებელია, შეიძლება ზემოდან მოსწყდეს ქვა, დაგორდეს და გატყინოს რამე. ყველა ეს შესაძლებელია, მაგრამ ყველა ეს ნუ დაგაყენებთ თქვენ. მაგრა მოკვიდეთ ხელი ბუქს ბალახს, რაც შეგებდებათ გზაზე ხელომოსკილი, აილი თან და თან მალა, აილი მზესთან, სიმაართლესთან, ღვთის სიფართოვსთან, — და იქიდან, ღვთის სიმაართლის სიმალიდგან, დაუყვირეთ, და უძახეთ ქვეით მდგომებს: „ქაობიან დაბლობიდან, სიბნელიდგან, ნისლიდგან, მძიმე ტყვისსფერი ღრუბლებიდან ამოდით აქ, აქ ახლოა ცასთან, აქ სუფთა ჰაერია, მკერდი აღვილად სუნთქავს, აქ უფრო კარგათ, მსუბუქათ გრძობს აღმანი თავს.“

ნეტარ ხართ თქვენ, როდესაც თქვენ დაგიწყებენ დევნას დაბლა, როდესაც თქვენის მადლა ასვლის დროს გყვედრიან და გდევნიან ან ყოველნაირათ ბოროტი სთქვან უსამართლოდ ქრისტეს



სიმართლისთვის. ვიხაროდეთ და მხიარულ იყვენით. ასე სდევნიდნენ, თქვენზე წინათ მყოფ, წინასწარმეტყველებსაც.



XI.

თ ვ ი თ მ ც ი რ ე .

ლუკას სახარებაში მეთექვსმეტე თავში, არის იგავი უსამართლო გამგებელზე. ეს იგავი ბევრს უცნაურად და გაუგებრად მიანიჩა. იქ არის ნათქვამი: იყო ერთი კაცი მდიდარი და ჰყავდა იმას გამგე, რომელზედაც მიუვიდა ამბავი, რომ იგი მის ქონებას განაბნევს. მოუწოდა მას და უთხრა: ეს რა მესმის შენზე? მომეცი ანგარიში შენს გამგეობაში, რადგანაც აღარ შეგიძლიან შენ გამგეობა. მაშინ გამგემ სთქვა თავის გულში: რაღა ვუყუ მგ? ჩემი უფროსი ნაიაპვეს მე სახლის გამგებლობას; მუშაობა აღარ შემიძლიან, თხუნვაც მრცხენიან, ვიცო, როგორ უნდა მოვიქცე რომ მიმიღონ მე სახლებში, როცა გამომართმევენ სახლის გამგებლობას, დაუძახა სათითაოდ თავის უფროსის მოვილევებს, და ჰკითხა ჯერ პირველს: რამდენი გმართებს შენ ჩემი უფროსისა? მან უბასუხა ასი საწყაო ზეთისა. გამგემ უთხრა მას: აიღე შენი ხელწერილი და დასწერე—ორმოცდაათი, შემდეგ მეორე მოვალეს ჰკითხა: შენ რაღამდენი გმართებს?—იმან მიუყო:—ასი საწყაო პურისა—გამგემ უთხრა: აიღე შენი ხელწერილი და დასწერე ოთხმოცი. და შეაქო უფროსმა გამგე, რომ გონივრულათ მოიქცა. ბოლოს მიაცხოვარი დასქენს: „და მე გეტყვი თქვენ: ისხენით თავისა თქვენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიკრულისა, რათა რაჟამს მოაკლდეთ თქვენ ამირ, შეგიწყნარნენ თქვენ საუკუნეთა მათ საყოფელთა“. (ლუკ. 16, 1—9).

„ისხენით თავისა თქვენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიკრულისა,“—აი ეს სიტყვები სახარებისა ბევრს მიანიჩა უცნაურად, მაგრამ ამ სიტყვებშივე აღსნა იგავის გასაგებად. რა არის მამონა სიკრულისა? ლუკას სახარების მეთორმეტე თავში

არის სხვა იგავი უგუნურ მდიდარზე. იმას დიდი მოსავალი პურისა მოუვიდა, და არ იცოდა როგორ შეენახა. ის სხვებზე აღარ ფიქრობდა, და სთქვა თავის გულში: „აღიხანს მეყოფა ეს მოსავალი; ვაჰმა, ვსვამ და განვივინებ.“ ღამე ძილში უფალმა უთხრა მას: „სულს ავიღებ შენგან; მოკვდები, და რიღსთვის გინდა ყველა ეს?“ სახარება დასქენს. „ესე მოუვა იმას, ვინც აგროვებს საუნჯეს თავისთვის, და არა ღვთის მიერ გამდიდრდება“ (ლუკ. 12, 17—21).

ცხადიაორნაირათ შეიძლება გამდიდრება: თავისთვის,—თავის მუცლისთვის, და ღვთის მიერ,—ღვთის სიმართლით, ზოგი კაცი სცილილობს მიიღოს უფლება, პატივი, ქონება, წარჩინებულება; ის ყველა თავის ნიქს თავის თავზე ხმარობს. შეიძლება ცუდსაც არას ჩადის, მაგრამ უბედურობა მისი იმაშია, რომ კარგსაც არაფერს აკეთებს. თავის-თავის კეთილ-დღეობისთვის ის მთელ თავის ძალ-ღონეს ხმარობს, და ღვთის საქმეზედაც არ ფიქრობს. ის თავის თავისთვის მდიდრდება. ზოგი კაცი-კი მთელ თავის სიკაცხელში პეიქრობს ღვთის სიმართლეს, იღვევის სიყვარულის დასამყარებლად ხალხში. შეიძლება თითონ იმას არა ჰქონდეს სახლ-კარი, საქმელი; მაგრამ ხალხის გულში ის საუცხოვოდ ამშვენებს ღვთის სახლს, სახარების პურის მარცვალს უზეად სთესავს ხალხის სულში. თავის თავისთვის გლახაკი, ის ღვთის მიერ თან და თან მდიდრდება.

ახლა ვიკითხათ, როგორ ვმდიდრდებით ჩვენ? ჩვენ ყველანი ღვთის სახლის გამგებლები ვართ. უფალი, ქვეყნის მეთუფე, გვაგზავნის ჩვენ ცხოვრებაში, როგორც თავის მამულში, მის მოსავლელად. ვის ვემსახურებთ ჩვენ? ვზრდით ჩვენ სიმართლეს თუ ჩვენ საკუთარ კეთილდღეობისთვის ვზრუნავთ, და ღვთიდან მოცემულ ნიქს, რომელიცაა მოცემული ღვთის საქმის ვასაძლიერებლად, ვხმარობთ ჩვენ სასარგებლოდ? როდესაც მოვა დრო, რა პასუხს მივცემთ სახლის უფროსს? უნდა ჩაფიქრდეთ, გავშინჯათ ჩვენი საქციელი, ანგარიში ვუყოთ მთლათ ჩვენ ცხოვრებას, სამწუხარაა, რომ ისე დრმად ვგძინავს ჩვენ, რომ ძველად შეიძლება გამოვლიდებოდა; ზოგიერთი ისე შეიმოსა ხავსით, რომ აღარც კი სჩანს მისი ცხოველი ბორცი და სული. სამწუხარაა რომ ჩვენ ასე გვიან მოვდივართ გონს.



აბა სკადეთ, ორმოცდა ათის ან სამოცის წლის კაცმა დაიწყო წერა-კითხვის სწავლა. რასაც ბავშვი სულ ადვილად შეიგნებს, თქვენ დიდი შრომა დაეჭირდებათ იმაზე: ტვინი ისე აღარ არის, როგორც წინათ, დაბერდა, თითებში ძალა გამოილია, სწორე ასოების მაგიერად, ა'ბ-ბა'ხანდ სწერავენ. როგორც სხეული, რაც ხანში მდის, მით სიმარჯვეს ჰკარგავს, აგრეთვე სულსაც ეკარგება სიახლე და ადვილად მიხვედრილობა. რაც გვიან იქნება, უფრო ძნელია მიხვრა-მოხვრა, ახალ წესზე დაწყოება ცხოვრებისა. როდესაც გახურებული რკინა გაცოვდა, იმისი მოკაკეა ძნელია. ამისთვის იგავში გამგებელი, როდესაც მას ანგარიში მოსთხოვენს, ამბობს: „რა-ღა ვუყო? მუშაობა არ შემიძლიან, თხოვნისა მრცხენიან“<sup>4</sup>, რომ ახლად დაიწყო გამგებელმა ცხოვრება—გვიანლა: აღარ შესწევს მას ძალა, ყოველივე სიმდიდრე სულისა, ღვთიდან მოცემული ნიჭი, გავლანგულია; გაკეთება რაიმე კეთილისა თითონ აღარ შეუძლიან.

გაგრძელება აქნება.

მღვ. იოანე ლუქანაძე.

## სახელმწიფო სათათბირო

მე-38 სხდომა

გადასახადი უძრავ ქონებაზე

სათათბირომ ხომიაკოვის თავ-მჯდომარეობით განიხილა ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სახელმწიფო გადასახადის შესახებ დაბა-ქალაქების უძრავ ქონებაზე. 1909 წლისათვის ეს გადასახადი გაწერილია 13,882,000 მანეთი, შარშანდღეზე 630,000 მანეთით მეტი. კანონ-პროექტის მომხსენებელმა განაცხადა, რადგან მალე სათათბირომ უნდა განიხილოს ახალი კანონ-პროექტი ქალაქების უძრავ ქონებაზე გადასახადის გაწერის შესახებ, ამიტომ უწყველად მივიღოთ ძველი კანონ-პროექტი, თუმცა იგი ვერ არის წესიერად შედგენილი. ბელაუსოვმა სოც.-დემოკატების სახელით სთქვა, მზარს ვერ დაუქვრთ იმ გადასახადებს, რო-

მელსაც მთავრობა თვითნებობის საქმეებს ანდომებსო. კანონ-პროექტი სათათბირომ სარედაქციო კომისიის გადასცა.

ტერორის მსხვერპლთა დახმარება

შემდეგ სათათბირომ განაგრძო კამათი რევოლუციონურ პარტიების მოქმედებისაგან დაზარალებულთა დახმარების საკითხის შესახებ. სათათბიროს პარტიებმა დაადგინეს, ამ საკითხის გამო ექვსი ორატორი გამოუშვან: ვორონინი, ზამისლოვსკი, პოლეტაევი, ალექსეევი, როდინევი და შუბინსკი.

ვორონინა. (სოც.-დემოკრატ). ტერორი დიდძალი და კანონიერი შვილია მთავრობისა. თუმცა ტერორი არ არის ნამდვილი საბრძოლველი იარაღი ხალხის განსათავისუფლებლად, მაგრამ მე მიანც ვერ ვაკვიცხავ ტერორს, რადგან იგი შედეგია მთავრობის მხრივ მიღებულ ტერორისა, დანაშაულის არ შეტრულებისა და აწვევებისა და საიდუმლო პოლიციის პრეოკაციონურ ტაქტიკისა. ჯერ უნდა მოისპოს მიზეზი ტერორისა და მერე იგი თავის თავად მოიპოვება. სანამ მიზეზი არ მოსპობილა, თქვენი მუშაობა სასარგებლოა მხოლოდ პოლიციისა, ქანდარმებისა და ჩინოვნიკებისათვის (ტაშე მარცხნივ).

პოლეტაევი. (ტრუდოვიცი). კანონ პროექტი კარგად არ არის შემუშავებული: საჭირო იყო პოლიციის დეპარტამენტში ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ ამ დეპარტამენტს მომავალ წელს რამდენი კაცის მოკვლა აქვს განზრახული. კანონ-პროექტის სათაურიც უნდა გამოიცვალოს; ესლანდელი სათაური ასეთია: „დახმარება რევოლუციონურ პარტიების და პირებისაგან დაზარალებულთათვის“<sup>5</sup>, უნდა იყოს: „დახმარება მთავრობის დაწესებულებათა და პირებისაგან დაზარალებულთათვის“.

ალექსეევი, როდინევი და შუბინსკი საზოგადო კამათის დრას სხდმაზე არ იყვნენ. საზოგადო კამათი გათავდა. ამის შემდეგ სათათბირო შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას.

რადიჩევი. ორატორმა გააჩნია კანონ-პროექტი და იკითხა: საიდუმლო ან ცხად აგენტს, რომელი დაშავდება რაიმე პოლიტიკურ საქმეზედ, —თქვენ აძლევთ პენსიას, ხოლო იმავე აგენტს არა აქვს პენსიის მიღების უფლება, თუ იგი დაშავდე-



ბა არა პოლიტიკურის მიზეზით. როგორ უნდა მოვექცეთ იმ პოლიციელის ოჯახს, რომელიც დასტურა კოვალენსკიმ? მთარხმბა და როზმა, რომლებიც ბატონობდნენ რუსეთის ცხოვრებაში, წნეობრივად ვაველურეს ახალთაგან, რომელიც აღვიდა ჰიდლებს ხელს დანასადარველოვერს. ვინ შეჰქმნა ეს ზიზღი ადამიანის სიცოცხლისადმი? (მარჯვნიდან იხახიან კადეტებმაო). ვინ შეჰქმნა ზიზღი ადამიანის ღირსებისადმი? (მარჯვნიდან იხახიან კადეტებმაო; მარცხნიდან: რუსის ხალხის კავშირის წევრებმა—ამკლებელ ამწიოკებლებმაო). გულკინი მუშტით აზახუნებს პიუპიტერზე.

რადიქეა. პოლიტიკური მკვლელობა შეუძლებელია უფლებრივ წყობილების დროს. ჩვენ, კადეტებს, მემარჯვენეები ჩვეულებრივ ბრალსა გვდებენ, ვითომ ჩვენ პოლიტიკურ მკვლელებს ვზრდიდეთ. რასაკვირველია, სხვას არას უნდა მოველოდეთ იმ პარტიის წარმომადგენელთაგან. რომლების მთელი პოლიტიკური სიბრძნე გამოიხატება მარტო ორი სიტყვით: კადეტები მძულს (ქლიერი ტაშის-ცემა მარცხნივ). მე ვიპყობ ამით და ვიგონებ, რომ მთელი სამოცი წლის განმავლობაში მთელი რეაქციონური ევროპა ყველაფრის ბრალსა სდებდა ვოლტერსა და რუსოს (სიცილი და ხმაურობა).

თავსმჯდომარე. გთხოვთ საქმეს დაუბრუნდეთ, ვოლტერს კი თავი დაანებოთ.

რადიქეა. თავს ეანებებ ვოლტერს მით უმეტეს, რომ იგი გაღათარგმნილია რუსულ ენაზე, ყველა კადეტების ბრალია“. (იხახიან კიდევ!) არ ვიცით თავსმჯდომარემ ამიკრძალა, თუ არა პასუხის გაცემა იმ ბრალდებაზე რომელიც აქ გაისმოდა.

თავსმჯდომარე. ვთხოვ კრებას დინჯად მოქცეს, ხოლო ორატორსაც ვთხოვ, რომ კრება აღარ მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც იგი ეხლა იმყოფება.

რადიქეა. თუ თქვენ დაეძებთ თანაგრძნობას მკვლელობისადმი, უნდა გაიხსენოთ, რომ კადეტების პარტიას არა ჰყავს მებრძოლი რაზმები სხვა პარტიებივით. (ტაშის ცემა). მკვლელობა ჩაუდენიათ იმ პირებს, რომელმაც ჰქონიათ მკველ პოლიციის მოხელეთა ბილეთები. არც ერთ

თმა პროცესმა არ გამოაშკარავა კადეტების პარტიის რომელიმე წევრი...

თავსმჯდომარე. სიტყვას აწვევტინებს: სათათბიროს წევრო როდღივყო! აქ როდი ასამართლებენ კადეტების პარტიას.

რადიქეა. მაპატიეთ, ლაპარაკი მიქირდება. ამისათვის ვწვევტავ სიტყვას და აღენიშნავ, რომ ნებადართულია მხოლოდ კადეტების პარტიის ბრალდება, ხოლო მის დამცველებს პირში ბურთსა სჩრიან.

თავსმჯდომარე. ვთხოვთ ყურადღება მიამტკიოთ, რასაც მე ვიმბობ. აქ ირჩევა კანონის მუხლი; თქვენ კი პოლემიკას მოყვებით სხვა და სხვა პარტიის თვისების შესახებ და იცავთ კადეტების პარტიას, რომელსაც დღეს ამ ტრაზუნდინდან არავინ არ შეხებია. აქ ირჩევა დღევანდელი საკითხი და არა ძველი ანგარიშები; წინანდელ ნათქვამის წინააღმდეგ ლაპარაკის ნებას არავის მივსცემ.

რადიქეა. ამ შემთხვევაში მე უნდა აღენიშნო შემიდგვი: დებუტატ პოლოცეცს ნება დართეს სხვა კრების დროს.

თავსმჯდომარე. ვთხოვთ, ნუ ლაპარაკობთ სხვა კრებების შესახებ (მარჯვნივ ვაშა; მარცხნივ: ეგ ძალმომრეობაა, პირის მოკუმევა).

მიჯაუფოა. ეს ხომ ისევ ის კამათია, ისევ ის საკითხია (ხმაურობა. მარჯვნიდან ყვირიან: მილიუკოვი გააგდეთ).

თავსმჯდომარე. ვთხოვთ წესი დიცივათ.

მიჯაუფოა. აღვილიდან: ეს განგრძობაა იმავ კამათისა (მარჯვნივ იხახიან: მილიუკოვო, გაწმდით! გარეთ გააგდეთ!)

თავსმჯდომარე. წინადადებას გაძლევთ ბოდიში მოიხადოთ. არ შემიძლიან სხდოსის თავმჯდომარეობა.

ფოჯოა ვე-2. თქვენ არ შეგიძლიანთ თავმჯდომარეობა.

თავსმჯდომარე. სათათბიროს წევრი ვოლკოვი შეუწყნარებლად ექცევა თავმჯდომარეს. წინადადებას გაძლევთ, ვოლკოვი დღევანდელ სხდომიდან განდევნოთ (მარჯვნივ იხახიან: ვაშა, ცრტა გააგდეთ! ვოლკოვი მიდის მილიუკოვთან).

თავსმჯდომარე. იმ ინსტრუქციის შემდეგ, რომელიც თქვენ მოგვცით, ვთხოვთ განმარტოთ თქვენი ქცევა.





ვოლკოვა. არავითარი ინსტრუქცია არ მიმიღია. ხაიდგან წარმოიღვინა ეს თავმჯდომარემ—მე არ ვიცი. თავმჯდომარის წინადადება ჩემის განდევნის შესახებ არაფრით არაა გამოწვეული; თავის სიტყვაში ზოლოტცევი ჰკიცხავდა კადეტების პარტიას. ჩვენ ეს აღინიშნეთ. დღეს ირჩევა იგივე საკითხი ტერორის შესახებ, რომელიც მაშინ ირჩეოდა. ამიტომ ჩვენ უსამართლოდ მიგვაჩნდა, რომ სათათბიროს დროს წევრს ნებას აძლევენ ტერორზე ლაპარაკის დროს კადეტების პარტიის გაკიცხვისას, ხოლო ჩვენი პარტიის წარმომადგენელს პასუხის გაცემის ნებასაც არ აძლევენ. აი მიზეზი ჩვენის პოტესტისა.

რადიქსმა განაგრძო. იმანა სთქვა მალაპარაკებს მოვალეობა—დავიცვა მცხოვრებნი, რომელთაც გამოგზავნეს სათათბიროში თავიანთ წარმომადგენელად. აქ-კი ამბობენ, თქვენ ურიების პროტექციით მოხვედითო. აჰა სთქვეს, რომ ტერორის ცენტრად ებრაელების ავიტაციო, კადეტების მამათავრები—ტერორისტების მამათავრები არიანო. მე პატრიოტი ვარო, რადგან ებრაელები მძულანო. ასე ბძანეს აქ, ჩვენ-კი მოვედით იმიტომ, რომ ებრაელების თანასწორობაც დავიცვათ (ხმაურობა მარჯვენ). უნდა დავიცვათ ებრაელების თანასწორობა. ვინაიდან უფლება და სამართლიანობა ერთი და იგივეა მთელ ქვეყანაზედ, უფლება და სამართლიანობა ერთნაირია არ იცის. თუ არ თანასწორობა, ისე ვერ შევდგამთ ფეხს განახლებულ რუსეთში.

პირველ საათამდე სხდომა შესწყდა და განახლდა 2 საათსა და 14 წუთზე. სოციალ-დემოკრატები, ტრუდოვიკები და კადეტები არ დასწრებიან. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საზოგადო კამათი უნდა დასრულდეს იმ ორატორის სიტყვით, რომელნიც პარტიათა შეთანხმებით არიან დასახელებულნიო.

რადიქსმა განაგრძო თავისი სიტყვა, მან სთქვა: თქვენ გინდათ ეს კანონი ხალხის დასამშვიდებლად კანონად აქციოთ, მაგრამ დამშვიდების ამ გზით ვერ მოახერხებთ. თქვენა გგონიათ, რომ მოწინააღმდეგისა, უფლებისა და სამართლიანობის პატივსაცემად ორატორის პირის აკვრაა საქირო. რაკი ასეა საქმე, მე ვეღარაფერს ვიტყვი.

### კიდევ ზორების შესახებ.

(წერილი ხარაგოულიდან)

როგორც „დროება“-შიაც იყუ აღნიშნული, ბელაგორსა და ამის ახლო-მახლო სოფლებში ხმა ვავრცელებული, ვითომ ერთ ებრაელს სოფ. ფარცხნალში, ბელაგორს მახლობლად, მოტყუებით შეერთოს იქაური ქალი და შემდეგ წასულიყოს სახერისაკენ მთებში და სხვა ებრაელებთან ერთად ეს ქალი ეწამებინათ; ვითომ ეს ქალი დანახლებეტ ადგილის მოსარჩენად უნდა იწვეს ქუთაისის ერთ-ერთ საავთმყოფოში და სხვა.

ამ შეუსწნარებელ ქორის ვავრცელება გამოიწვია შემდეგმა ვაგროებამ: ამ სამი თვის წინად სოფ. ფარცხნალში ერთ იქაურ მცხოვრებს ბიჭია სვანიძეს, რომელიც თვალებით ბრმა ყოფილა, გაუგია, რომ სოფლად დადის ვიღაც ბერძენი ექიმი და არჩენს ყოველსავე ავადმყოფობასაო, ამ ქორებით დიმიდებულს ბრმას გაუგზავნია თავის შვილი და დუვალებია, მოეძებნა ეს უებარი ექიმი და მოეყვანა იმის მოსარჩენად. ამ უკანასკნელს მიუგენია უებრო ექიმის კვლის-თვის და კიდევ მიუგენია შინ მამის თვლების ასხილველია. ცრუ ექიმს აღთქმა მიუქცია, მოკლეთ დროში გაგუჟრანავო. ეს ვაგბატონი შესდგომია ექიმობას, მაგრამ კარგა ხნის უნაყოფო ექიმობის შემდეგ, იგი დაუთხოვნიათ. იმ ავადმყოფს ჰყოლია გასათხოვარი ქალი, რომელიც ცრუ ექიმს მოსწონებია და კიდევ უთხოვნია მშობლებისათვის, რომ ქალი მისთვის გაეტანებიათ. მშობლები, რასაკვირველია, ამ წინადადებაზე არ დასთანხმებულან, რადგან ცრუ ექიმს არ იცნობდნენ, და უარით გაუსტუმრებიათ.

ამის შემდეგ უცნობს გაუცენია ავადმყოფის მეზობელი იპოლიტე სვანიძე. ამასაც გასათხოვარი ქალი ჰყოლია და იმისთვისაც მიუმართავს, ქალი მომათხოვო. ისიც ჯერ უარზე დამდგარა, მაგრამ რადგან უცნობს თავი დიდ შეძლების ექიმად უცნობებია, იპოლიტე სვანიძე დასთანხმებია და ქალი მიუთხოვებია. ქორწინების შემდეგ უცნობს წაუვიდია ქალი, გასულა თითქმის სამი თვე და არავითარი ამბავი აღარ მოსვლიათ მშობლებს ქალისძისაგან.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის საზო-  
 ღარი ქორები, რომელიც ხელა ხალხშია გავრცე-  
 ლებული და, ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ქორებს,  
 თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა. საქირა  
 უსათუოდ იმ ვაებატონის ბინადრობის აღმოჩენა,  
 რომ საზოგადოებას ემცნოს, რა ჯურის აღმამინა  
 იგი. ქალის მშობლები შეუძლებლობის გამო ვერ-  
 სად წასულან, რომ საქმე გამოარკვიონ. მოვიყვან  
 აქვე იმის აღრესს, რომელიც მღვდლის მოწმობა-  
 ში ყოფილა აღნიშნული: „Тифлисской губернии,  
 Борчалинскаго уѣзда, села Ауретъ крестъ яшиць  
 Димитрій Андреевъ Ахвердовъ“. მოწმობა მიუტია  
 ამავე სოფლის მღვდელს ანასტას პოპონდოპულოს.  
 თვითონ უცნობს დაუწერია მეორე აღრესი და  
 თუქმს, ქალაქშია ცა მიქის სახლები და იქაც  
 ვცხოვრობო. ეს აღრესი შემდეგია: მეექვსე საზო-  
 ლიციო ნაწილი, შუშის ქუჩა, № 9, დ. ა. ახვერ-  
 დოვი.\*)

დაც არ აქვს ომი. „ინეი-ვახეტა“-მ დაბეჭდა  
 ოფიციალური განცხადება, რომ ოსმალეთი არ  
 აძლევს მნიშვნელობას ბოლგარიის მუქარას და  
 ცდილობს წინანდებურად თავის მოთხოვნების ას-  
 რულებას და ყველა სხვა სახელმწიფოსთან ერთად  
 სინანულს აცხადებს ბოლგარიის ომისადმი მისწრა-  
 ფების გამო, თუმცა იცა ამ მისწრაფებას სერიოზულ-  
 ლად არაინ არა საკითხის, როგორც ამას ჰმოწმობს  
 ბირჟის სიღინჯე. ომის შიში არაა, მაგრამ თუ  
 მოლოდინის წინააღმდეგ ომი დაიწყო, ბოლგარია  
 ძლიერ იზმარალებს და დიდის ხნით სანანებულად  
 გაუხდება ეს ომიო.

\* \* ზეტრეშევა. „ზეტ. ტელეგრაფის სააგენტო“-მ  
 სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ ცნობის  
 მიღების უმაღ ბოლგარიის მთავრობის მიერ სამ-  
 ხედრო ღონის ძიების მიღების შესახებ, რუსეთის  
 მთავრობამ დებეშით მიჰმაროა გერმანიის, ავსტრო-  
 ჰუნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის  
 მთავრობებს. დებეშაში ნათქვამია: იღებს რა  
 მხედველობაში ბოლგარიის მთავრობის განცხა-  
 დებას, რომ ბოლგარიას მტკიცე განზრახვა აქვს  
 მკვიდროდ მჭულთანხმდეს ოსმალეთს. რუსეთის არ შე-  
 უძლიან არ გამოსთქვას შიში, რომ ყოველი სამ-  
 ხედრო ღონისძიება ოსმალეთ ბოლგარიის საზღვარ-  
 ზე გაამწვავებს ურთიერთობას და შეიძლება ომიც  
 გამოიწვიოს, ამიტომ რუსეთის მთავრობა წინადა-  
 დებას აძლევს ხსენებულ დიდ სახელმწიფოებს:  
 ერთმანეთთან შეთანხმებით შემდეგი საერთო ნოტა  
 გაუგზავნონ როგორც ოსმალეთს, ისე ბოლგარიას  
 სახედრო ღონისძიება ოსმალეთ-ბოლგარიის საზ-  
 ლერებზე მხოლოდ ხელს შეუშლის სახელმწიფოთა  
 მეცადინეობას – ოსმალეთი და ბოლგარია მეგობ-  
 რულად შეთანხმონ; სახელმწიფოები თანაგრძნო-  
 ბით მოეკიდებიან ყველა კომინაციებს, რომელე-  
 ბიც ხელს უწყობენ ხსენებულ მიზნის მიღწევას,  
 მაგრამ ისინი ჰმეკობრენ, რომ სურვილი სახელ-  
 მწიფო საზღვრის შეცვლისა ამა თუ იმ სახელმწი-  
 ფოს სასარგებლოდ უნდა მოსპობილ იქნას, რად-  
 გან ასეთი საკითხის აღძვრა მხოლოდ გააუარესებს  
 ურთიერთობას ოსმალეთსა და ბოლგარიის შორის  
 და ამის გამო ცუდად იმოქმედებს საქმეთა საზო-  
 გადო მდგომარეობაზე; დასასრულ აუცილებლოდ

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* თერასი. სამხრეთ სპარსეთში იფეთქა აჯან-  
 ყებამ. ბუშირში აჯანყებულმა ხალხმა დასქრა გუ-  
 ბერნატორი და მოკლა მისი ორი ვაჟიშვილი. ში-  
 რაზში ხალხი დაეცა შაჰის ბანკის განყოფილე-  
 ბას და გაკარცვა. ურბასტანში მუშტიდ ჰაჯი-  
 სილ- აბდულ-ჰუსეინის წინამძღოლობით დაიწყო  
 ძლიერი მოძრაობა მთავრობის წინააღმდეგ.

\* \* სტამბოლი. ბოლგარიის ჯარის მობილაზაციის  
 თაობაზე ოსმალური გაზეთები ჰმეტყვევენ ნაწყვე-  
 ტებს ოსმალეთის ნოტიდგან, რომლიდანაც სჩანს,  
 რომ ოსმალეთს ჰსურს მშვიდობიანობა და ფიქრა-

\*) ამ აღრესით ვიკითხეთ აღნიშნული პირი და აღმო-  
 ჩნდა, რომ ის მართლაც ცხოვრობდა აქ; აქედან იგი, ეს  
 რამდენიმე ხანა სოფ. ოპეტში წასულა, სადაც მას მამული  
 და სახლები ჰქონია. როგორც სახლის პატრონმა ჩემვან  
 გაგზავნილ კაცებს გადმოხდა, ახვერდოვს ქალი თანა ჰყო-  
 ლია და არაფერი შიში ქალს არ მოელის. ახვერდოვი ქარი-  
 ვი ყოფილა, წინანდლ ცალთან ორი შვილი ჰყოლია. ჰა-  
 ლაქში მას სახლი არ აღმოაჩნდა.



საქიროა მოლაპარაკების სასურველად, რომ ბოლ-გარიამაც და ოსმალეთმაც ხელი აღონ ყველა ისეთ ღონის ძიებაზე, რომელიც შეიძლება ჩათვა-ლოს მუქარად ან გამოწვევად.

\* \* \* ასხაბადა. საფოსტო ვაგონიდან ვილაყებმა მოიპარეს 469 ათასი მანეთი. დანაკარგი აღმოაჩინეს ასხაბადის სადგურზე.

\* \* \* ტაშენცა. ასხაბადის ფოსტის კანტორაში, კრანოიარსკიდან მოსულ ფოსტის გასინჯვის დროს, ტყავის ტომარაში არ აღმოჩნოა 1,480,000 მანეთი. ფული წაელთა ფოსტის ვაგონის გაქრილ კედლიდან. ვაგონის ბაქანზე ნახეს 105,000 მანეთი. ფოსტის მოხელენი დააპატიმრეს.

\* \* \* შარშან „ტფილისის სობრანიეს“ წმინდა მიგება ჰქონია 17,740 მანეთი, მარტო ბანქოს თამაშობიდან შარშან „სობრანიეს“ აულია 24,527 მანეთი.

\* \* \* „ბათუმ. გოლ.“ სიტყვით, 5 იანვარს სოხუმის პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ეპისკოპოსი დიმიტრის მოკვლას უპირებს ეხლა-ხან სოხუმში ჩამოსული ბერიო. პოლციმეისტრის განკარგულებით, მოკაულს შეუტყრია ეს ბერი, რომელსაც თავის თავისთვის ჩააღიწი უწოდებია. ჩააღიწის განუტყვადება ბოქაულისათვის, მე ვიცი ის პირები, რომელთაც განზრახული აქვთ ეპისკ. დიმიტრის მოკვლაო. ამასთან უამბნია, თუ როგორ შეიპყრო მან პოლიტიკური დანაშაულებები და სახელმწიფო სათათბიროს, რომელიდაც დებუტატის მკვლელები. ჩააღიწის ჩვენებით, ბოქაულმა ახალათონში შეიპყრო ტენიკოსი კაბლენი, რომელსაც აღმოაჩენია, სხვათა შორის, ბაკუნინის, სპირიდროვას და სხვათა სურათები. შეუტყრიათ აგრეთვე ზენიკალი დანილოვი, რომელთანაც ჩააღიწი დიაკრბოდა.

\* \* \* ექსარხოსის თანამდებობის აღმასრულებელმა ფეისკოსმა ნება არ მისცა მღ. ი. ჩიჯავაძეს, წაიდეს პეტერბურგში და ცილის დაწამებისათვის პასუხის გებაში მისცეს დებუტატი პურიშვევიჩი. მღ. ჩიჯავაძე ცდილობს ეს საქმე პეტერბურგის რომელიმე ეპქილს მიანდოს.

\* \* \* გუშინ 26 იანვარს, ქართველთა გამოცემულ ამხანაგობის სტამბაში მუშაობა განახლდა. სტამბის ადმინისტრაციის განკარგულებით, დაიკეტა ქართული განყოფილება, რადგან ეს განყოფილება საზარალოა სტამბისათვის. დაიკეტა აგრეთვე ცინკოგრაფიული განყოფილება. დაითხოვეს უფროსი ასოთ ამწეობი და 21 მუშა. ადმინისტრაციის განკარგულებით, ნება მიეცა მუშაობის განგრძობისა ძველს პირობებში მხოლოდ 96 მუშას.

\* \* \* ვახუშტის სიტყვით, ამ დღებში ფოთში პოლიციას გაუჩხრტვია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლონიდი.

\* \* \* რუსეთის ვახუშტის სიტყვით, სწოლთან შემდგარა კომისია, რომელშიაც შედის სამი მიტროპოლიტი და ორი ეპისკოპოსი. კომისიამ უნდა გამოარკვიოს საქართველოს საექსარხოსოს გაუქმებისა და საქართველოში რამდენიმე დამოუკიდებელ საეპისკოპოსოს დაარსების საკითხი.

\* \* \* შაბათს დამით, 24 იანვარს, ნაშვალაშვიცის 1 საათ. და 59 წუთზე ტფილისში საგრძნობელი მიწის ძვრა იყო, რომელიც განმეორდა ხუთ წამის (секунда) შემდეგ. მიწის ძვრა სეისმოგრაფმა აღნიშნა ჩრდილოეთ აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. მიწის ძვრასთან ერთად მოისმა დედამიწის გულიდან შიმე და ყრუ გრგვინვა. მიწის ძვრის დროს ბევრს გამოეღვიძა და შეშინებულნი გარედ გამოცვიდნენ საცკლების ამარა, როგორც ხმები დადის, შენობებიც ბევრგან დაზიანებულა.

\* \* \* კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ შაბათს, 24 იანვარს, სამუდამო კატორღა გადაუწყვიტა კოჯრის ვახუშტ შარშან იენისში, ფოსტის გაძარცვისა და ორის ფოსტილიონის მოკვლის გამო ერას უცნობს, რომელიც თავის თავს ირქმევს სამეგარაც: საგარეჯოელი ავტქიტი დავითის ძე გარსიაშვილი, ლანჩხუთელი ოლიმპი სიმონის ძე ცინცაძე და სამხთოელი, მიქელ-გაბრიელის საზოგადოების (გურია) მცხოვრები აზნაური ისიხი ბეჟანის ძე ბოლქვაძე. უკანასკნელი გვარი და სახელი ბრალდებულმა მხოლოდ სასამართლოში აღნიშნა, როდესაც გამოირკვა, რომ იგი არც გარსიაშვილი იყო და არც ცინცაძე.

ამბობენ აგრეთვე, რომ ეს უკანასკნელი გვარიც (აზნაური ისიხი ბოლქვაძე) გამოგონებულიაო.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საინჟინერო საქმიანობაში და კეთილ- ხნეობაში.

სიტყვა,

თქმულია 14 იანვარს 1909 წელს.

შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად  
თვისად შექმნა იგი, მამაკაცად და დე-  
დაკაცად შექმნა ივინი. (ღბ: 1, 27).

ღმერთმა შექმნა მამა კაცი და დედაკაცი ხატად და მსგავსად თვისად, ე. ი. მამაკაცს და დედაკაცს მისცა ერთი და იგივე დანიშნულება. ორივენი ერთნაირად მოვალენი არიან განვითარდნენ და მიემსგავსონ ღმერთს. თუმცა პირველი კაცი და მისი ცოლი შესდნენ, დაარღვიეს ღვთისაგან მიცემული მცნება, რისთვისაც ისინი იყვნენ დასჯილნი, მაგრამ აღნიშნული დანიშნულება მათი დარჩა უცვლელად. მხოლოდ შრომა იყო განსაზღვრული მამაკაცისა და დედაკაცისა. პირველს ღმერთმა უბრძანა: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა-ო“, ხოლო მეორეს: „მწუხარებით შეენი შენნი“-ო. მაგრამ ადამიანი მალე დაემორჩილა ენებათა გავლენას, დაივიწყა თვისი უმთავრესი დანიშნულება, დაიკარგა სიყვარული, რომელიც სუფევდა ორთავე სქესთა შორის, ჩამოვარდა შური და მძულვიარება, შეიქნა ბრძოლა, რომლის დროს მამაკაცმა, როგორც რომ ფიზიკურად უფრო ძლიერმა, დასძლია დედაკაცს, დაიმონავა იგი და გახდა მის ბატონათ. ქალმაც, რომ გაესუბუქებია თავისი მდგომარეობა, დაემორჩილებია კაცის გული, აირჩია მისთვის დიდათ საბარცხენი იარაღი; მან მოინდომა სილამაზით,

თავისი გარეგნული სიმშვენიერით მოეხიბლა მამაკაცის გული, რისთვისაც არ ზოგავდა არაივითარ სახსარს. მარამ, ერთი რომ ყველას არ დაყვება ხოლმე ბუნებით, დაბადებიდან სილამაზე, მეორე ხშირად, ძლიერ ხშირად მალე ეკარგებათ და ხანმოკლე არის ხოლმე ამ ბედნიერებით გახარებული ადამიანის მდგომარეობა და რამოდენადაც ას სტკება, სანამ სილამაზე მისდევს, იმოდენათ იტანჯება, როცა მას კარგავს, ყოგორც სხანს წინასწარმეტყველთა და სოლომონ მეფის ნაწერებიდან (იხ. სიბრძ. სოლ. 12, 4; ესე, 1; 19, 14; 31, 10, 30, იერ. 31, 23 და სხ.) ებრახელები სხვა ხალხებთან შედარებით უფრო აფასებდნენ დედაკაცს. თუმცა საზოგადოთ კ არც ეს ერი იყო თავისუფალი ამ არა სანატრელ, დედაკაცის ღირსების დამამცირებელ შესედულეებისაგან, რომელიც იყო გამეფებული კერპთაყვანისმცემლთათა შორის. ასეთი იყო, მდგომარეობა ქალისა იესო ქრისტეს მოსვლამდის. მაცხოვარმა ჩვენმა მოაგონა კაცობრიობას, რომ დანიშნულება მამაკაცისა და დედაკაცისა ერთი და იგივეა, ორივენი ერთნი არიან, ერთნაირად ფასდებიან ღვთისაგან; ორთავე სქესისაგან ერთსა და იგივე მოვალეობას ითხოვს იგი: „იუფენით თქვენ სრულ, ვითარცა მამათქვენი შეცათა სრულ ანს“. მართალია, მოციქულებათ მან აირჩია მამაკაცები, მაგრამ აქლებიც თითქმის განუშორებლად იყვნენ მასთან და გულს მოდგინეთ ისმენდნენ მის მოძღვრების სწავლას, როგორც მაგ. მენელსცხებდნენ. მათ გამოეცხადა პირველად აღდგომის შემდეგ იგიო და ზოგიერთნი მათგანი მოციქულთა სწორნიც გახდნენ. შემდეგშიც პირველ საუკუნეებში მამაკაცებზე არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვისთ ქალებს ქრისტეს სწავლის გავრცელებაში, როგორც მაგ. ქართვეთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებელს წმ. ნინოს, ვის ჰატევის და თაყანის საცემლადაც შევერებილვართ ჩვენ დღეს აქ. ბევრმა, როგორც მაგ. ევატერინემ ბარბარემ, ქეთევანმა, სოფიომ თვისთა ასულეებითურთ და სხვებმა სარწმუნოებისათვის თავი დასდევს, შესწირს, რაც შეეება მას თუ როგორი დამოკიდებულობა უნდა იყოს მამაკაცთა და დედაკაცთა შორის ცხოვრებაში, თანასწორნი უნდა იყვნენ ივინი უფლებებით თუ არა,



ამზედ მაცხოვარი არას ამბო'ს. მოციქულები, სახელდობ წ. პავლე გარკვევით სწერს: ქმარს და ცოლს შუა ისეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს, როგორც არას ქრისტეს და ეკლესიას შორის; მართალია ქმარი თავის ცოდვის, მკრამ მასთან მოვალე უფერადეს იგი-ა. და როდესაც ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვართ, მათ შორის თავის დღემი არ იქნება ისეთი დამოკიდებულება, როგორც არის ბატონს და მონას შუა. სადაც, სიყვარულია, იქ ერთი მეორისაგან დაზავება არასოდეს არ მოხდება, ამასთან, რომ ეს სიყვარული უფრო ძლიერი ყოფილიყო, ქრისტიანობამ უარ ჰყო კერპთაყვანის მცემელთა მრავალ ცოდვიანობა; დააკანონა, რომ მხოლოდ ერთი ცოლი უნდა ყავდეს ქრისტიანს ერისა და იგივე დროს. ამნაირმა კანონში დიდათ აღამაღლა დედა კაცის ღირსება. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ ამ დარიგებამ ვერ იმოქმედა კაცის გულზე და ქრისტიანობის მოძღვრების წინააღმდეგ არა სანატრელ მდგომარეობას ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში. ქალის პირველ და უკანასკნელ მოვალეობათ, დანიშნულებათ მიიჩნიათ მხოლოდ დედობა, შვილების და ოჯახის მოვლა, საქმელის გაკეთება; ქმარი ცოლს ამხანაგათ არა სთვლის, მასთან არ ბჭობს, მასთან აზრების გაზიარება არა სურს, საზოგადო საქმეებზე ლაპარაკი მეტათ მიიჩნია, თითქოს ისეთი არსება იყოს, რომ არც კი ჰქონდეს ამისათვის ნიჭი და უნარი; ბძანებითი კილოთი აძლევს განკარგულებას ამა თუ იმ ოჯახის საქმის გაკეთების შესახებ და ათასი მტყუენი იყოს თვითონ, მაინც ცოლს ხდის დამნაშავეთ, სხვას როცა ვერაფერს დააკლებს, მასზე იყოს გულ-ჯავრს, არაფერს ვიტყვი ცოლქმარობის კავშირის სიმშობის დარღვევის შესახებ; რაც დრო გადის თან და თან მატულობს ამ, შემხვევით ერთმანეთის უკმაყოფილო ცოლ-ქმართა რიცხვი. ვინც არა მგონია, თხოვნას აძლევს, სადაც ჯერ არს, რომ გააშორონ გაყარონ ცოლს, ქმარი და მით გაუშუბუქონ მათ ტანჯვითი ცხოვრება. ამ მაგალითების მიმხედვარე ახალ-გაზღობა ძლიერ ერიდება ქორწინებას; ათას-წილად არჩევს ქალი გაუთხოვარი დარჩეს და ვაჟი უცოლოთ, ვინემ ოჯახობას მოეციოდან. ყოველ ამ უზნებობას, ურიგობას დაერთო ცხოვრებისათვის სახსრის უქონლობა. რაც ხანი გადის სხვა და სხვა მანქანებს,

იგონებენ, მუშა ხელთა რიცხვი მცირდება, რასაც უწინ ათი კაცი აკეთებდა, იმას ახლა ერთი ადვითლათ ერევა; მრავალი უმუშაოთ რჩებიან. ულუკმაპურო, უსახარო აღამიანი ამა რად მოინდომებს კიდევ სხვის ტვირთათ ზურგზე წამოკიდებას? როდესაც თავის თავი ვერ ურჩენი კაცს, ცოლ-შვილს რითი ასაზრდოვებს? ამისთვის რაც ხანი გადის უცოდშვილო ახალგაზღობა თან და თან მატულობს. ჯერ ისედაც ულამაზობით ბევრი რჩებოდნენ ქალები გაუთხოვარნი, ახლა ხომ ერთი თად იმატა მათმა რიცხვმა? რა უნდა ექნა ქალს? თუ სხვა არ იზრუნებდა მასზე, თვითონ უნდა გამოეღო ხმა, თვითონ უნდა მოეკიდნა ხელი თავისი თავის განთავისუფლებისათვის, უნდა აღქურვილიყო იმავე იარაღით, რითაც მამაკაცი პოულობდა საზრდოს. წარსულ საუკუნის მესამეცეწლებში ქალმა აღამაღლა ხმა, მოითხოვა მამაკაცთან გათანასწორობა; რასაკვირველია ამისათვის თავდაპირველად საჭიროა განათლება, და აი მოითხოვა როგორც საშუალო, ისე მაღალი სასწავლებლების გახსნა, სადაც შეძლებოდა მიეღო ისეთივე სწავლა, რნგორსაც იღებენ მამაკაცები. ვინ იტყვის, რომ განათლება საჭირო არ იყოს დედაკაცისათვის? მისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს სწავლას, ხასიათის შემუშავებას, როგორც მამაკაცისათვის. ქმარ-შვილისათვის? საზოგადოებისათვის? განათლებული ცოლი ქმრისათვის ხომ ნამდვილი ამხანაგია, ჭირში და ლხინში მისი მანუგეშებალი და იმეღია; განათლებული დედა შვილებისათვის უფრო ძვირფასი, სამიეღო და საუკეთესო აღმზრველია, ვინემ სხვა, ნეტავ იმ საზოგადოებას, სადაც განათლებული დედები მოიპოვებიან. ყოველი ხალხი მაშინ გაიღვიძებს და გამოვა სიმბუნდგან, როდესაც დედები შეიგნებენ თავიანთ მოვალეობას. ქალების აღორძინებას, ყოველთვის ერის ამაღლებას, მოყვება ხოლმე. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ზოგიერთ ქალებს სწავლის განათლების მიღების შემდეგ სრულებითაც აღარ მოსწონსთ ოჯახობა, აღარ უნდათ კისერზე დაიდგან ცოლქმარობის უღელი და გაურბიან მას, როგორც რომ აღამიანის ღირსების დამამკრებელ რამეს. უნდათ მამაკაცისაგით გამოვიდნენ ექიმებათ, ვეკილებათ, დაიკაონ სხვა და სხვა საზოგადო, სახელმწიფო დაწესებულებებ-

ში ადგილები და მიმკაცებთან ერთნაირად მიიღონ ჯამაგირები. როდესაც სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ქალები გაუთხოვარი რჩებიან, ან და ქერივდებიან, რასაკვირველია, საზოგადოება მოვალეა ხელი შეუწყოს, სამსახურის ადგილი მისცეს დი ამით დაიხსნას ისინი შიმშილისაგან, ან და იმ უბედურ, ამ ტანჯულ ადამიანის ღირსების დამამკობებელ, სამარცხვინო მდომარეობიდან, რომელშიაც ხშირად ვარდებიან ისინი და როგორც ხორციელად, ისე სულიერად იხრწებიან. მაგრამ როდესაც შეუძლიათ შემთხვევა, გარემოება ხელს უწყობს, ქმარ-შვილის ხელის მოკიდებას, რათ უნდა გაუბოლოდნენ? ვანა დედობას, ოჯახობას უფრო ნაკლები სარგებლობა შეუძლია მოუტანოს როგორც მათ პირადად, ისე საზოგადოებას? ნეტავ იმ საზოგადოებას, იმ სახელმწიფოს, ვიმეორებ, სადაც კარგი დედები არიან. მათი ადგილის დაკავება კაცებს არ შეუძლიათ. ვეკილს, ეკიმს ყოველივე მოხელეს ყოველთვის ვაშოვნით მამაკაცთაგან, მაგრამ კაცი ვერასოდეს ვერ შესძლებს ქალის მაგიერობას; ქალის დანიშნულებას ის ვერ შეასრულებს.

დღვ. შ. ტყემალაძე.

### სიტყვა.

ოქმული 25 ქრისტეშობის თვეს 1908 წლისა ქვეშეთას წმ. გიორგის ეპიკლესასა.

დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება (ლუკ. 2, 14).

აი მიზანი ქვეყნად ხორციელად მოსვლისა უფლისა წენისა იესო ქრისტესსა: მალალთა შინა ღმერთზედ ქვეშორების ცნობის დამყარება და ამისა და მიხედვით მისი დიდება, ხოლო კაცთა შორის მშვიდობისა და სათნოების გავრცელება და დამკვიდრება!

მართლია, ხატად და მსგავსად ღვთისა გაცივნილს ადამიანს უნდა სკოდნოდა ქვეშორიტი ღმერთი და მრავალნი კიდევაც ადიდებდნენ მას, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობამ დაივიწყა იგი, ანუ როგორც ბრძანებს წმ. მოციქული მსგავსად დიდებას იგი უწრწყლისა დემონის მსგავსებად სატისა მის განსწნადსა კაცისა, და მფრანველთა, და ოთხფერსთა და ქვეყანაგანათა (რომ. 1, 23). ესეც არ იკმარეს! კაცობრიობას იმოდენად დაუბნელდა გონება, რომ გააღმერთეს საკუთარის ბუნების მოთხოვნილებანი, ვნებანი და თვისებანი: სმა-ქამასა, ვრძნობთა ცვალებადს-ღვლავსა და თვით ბიწიერებას გაუჩინე ცალ-ცალკე ღმერთები და ერთგულად მსახურებდნენ მათ, ადიდლად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა მაღალი და ფაქიზი ხნობა უნდა ჰქონოდა იმ საზოგადოებას, რომელიც მსახურებდა აშტარტას და ვენერას, დიონისსა და ადონისს, მთვალობისა და გარყვნილების მფარველთ ტმერთთ! წმ. მოციქული პავლე აი როგორ ასურათ-ხატებს იმ დროინდელის უწარჩინებულესის და უძლიერესის ხალხის, რომელთა ცხოვრებას: გარდასცვალებს რა ქვეშორებდა ღმერთისა სინდრეკელ და მსტიცი-ტემდეს და მსხურებდეს რა დაბადებულთა უფროს და მამადებულისა, წარმართნი, განგებთა ღვთისათა, მიეცნენ ვნებას მას გინებისას... და გამოუცდელს მას კონებისას—სქამედ უყვრათას, რაჟსა გამო აღივსნეს უფკვეითა სინდრეთით, სიძეთით, უკეთურებითა, სკანრებითა, ბოროტებითა, შურითა, კაცისკვეითა, სდომითა, სჯავითა, ბოროტის ჩეულებითა, ცუნდრეკეობათა... და შეიქნენ ძვირის-მეტეკელ, ღმერთის-შემკურსებელ, მკანებელ, ამპარტავან, დად შამ-ხეგებულ ბოროტისა, მამა-დედათა ურჩ, უგულისხმო, ეწესო, უყვარულ, უწირავ და უწყალო (რომ. 1, 25—31).

რასაკვირველია, რომ იქ, სადაც ამ თვისებებით შემკულნი პირნი უპირატესობდნენ, შეუძლებელი იყო. როგორც მალალთა შინა ღმერთის დიდება, აგრეთვე ქვეყანასა ზედა მცხოვრებს ხალხში მშვიდობისა და სათნოების დამყარება! ლალს, ამპარტავანს, უყვარულს და უწყალოს რა ნაირად შეძლო კაცთან სათნო ცხოვრება, როცა მის დერატი გაეგო, თუ რა არის სათნოება! მაშინდელ ადამიანთა მსოფლი-მხედველობას კარგად გამოხატავს ერთი რომელიღაც ანდაზა, რომელიც ჩვენებუ-



რად ასე ითარგმნების: კაცი კაცისათვის მეგელია. ხოლო იქ, სადაც ადამიანი თავისს მოყვასსა სთვლის მგლად და თითონაც მოყვასის მიერ მგლად არს შერაცხილი, ყოვლად შეუძლებელია მშვიდობის დამყარება, და აკი არც არსებობდა იგი ქვეყანაზედ: განათლებულნი, ჩინებულნი, და ძლიერნი სულ იმ-ს ცდაში იყვნენ, თუ რაგორ შეენარჩუნებინათ თვისნი უპირატესობანი უჩინოთა და გაუუნარებელთა წედა, რომ მათი შემწეობით მოკავებინათ ყოველივე ის, რაც საჭირო იყო ფუფუნებითი საცხოვრებლად. ხოლო განუთლ-ლებელნი, უჩინონი და უძლურნი მოუთმენელად მოულოდნენ იმ დროსა, როცა დაემოხრათა ძლი-რთა ბატონობა და არავითარს საშუალებას არ გრ-დებოდნენ ამ დროსა დასახლოებლად. ამ გვარმა ურთიერთა დამოკიდებულებამ, სიმძულვარეზედ აღმოცენებულმა, ისე შეხუთა ჰაერი და ისე შეა-წუხა კაცობრიობა, რომ ზოგიერთთ სრულებით დაჰკარგეს იმედი და ხშირად ნანობდნენ, რატომ მთელს კაცობრიობას არა აქვს ერთი თავი, რომელს წაკვეთთაც მოსპობილი იყო ადამიანის სხე-ლებმა ქვეყანაზედ. საუკეთესო წარმომადგენელი კაცობრიობისა, — ფილოსოფოსნი და სჯულის მღ-ებელნი კი მრავალჯერ შეეცადნენ გამოენახათ უე-ბრო წამლი ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესე-ბლად, მაგრამ ვერას გახდნენ, და ვერას გახდნენ, იმისათვის, რომ ვერ მიავნეს მთავარს მიზეზს კა-ცობრობის უბედურებისას. მათმა ამპარტოვნებით დაბნელებულმა ცონებამ ვერ შეივრა ის უბრალო ქეშმარიტება, რომ ცხოვრება დაბადებულისა გარე-შე დაბადებულისა შეუძლებელია, რომ ხატად და მსგავსად ღვთისა შექმნილის ადამიანის ბუნება ეძიეს დემონს (საქ. მოციქ. 17, 27) და ჰპოვეს ბენდიერებას მხოლოდ მის მიერ ბოძებული ნიუთა განვითარებით და მცნებათა შესრულებით, და მხო-ლოდ ამ სახით მიახწევს იმ მიზანს, რომელისათ-ვისაც განადა ქვეყანაზედ.

მაგრამ რასც ვერ მიადწია ცოდვილის კაცის გონებამ, — ის ვეაუწყა და გეასწავლა დღერიდელ დღეს განხორციელებულმა უფლამა. მან ცხად ჰყო კაცობრიობისათვის, რომ ადამიანს შეუძლია აღ-სრულოს თვისი დანიშნულება ქვეყანაზედ მარტო მაშინ, როდესაც იგი იცნობს მხოლოდს ჭეშმარიტს დემონს (იოანე 17, 3), რომელი არა მსგავს არს აქროსს, განს ვეცხლას, ანუ ახტავს, გამახსტულს ხურბებით, განხსნახითა კაცთათა (საქმე მოციქ. 17, 29). არამედ სულ არს (იოანე 4, 24), და შემოქმედი ფლას, და ყოვლას, რამ არს მს. შინს, იგი ცნას და ქვეყნისას სუფადა, არს სულით-ქმნილს ტანართა შინს დაშვიდრებულ არს, არცა კაცობრივთა სჯლთა

მაგრ ამასწერებას... თვით მოჰსცემს ყოველთა ცხოვ-რებას და სულის ყოვლით-კერძო (საქმე მოც. 17, 24 — 25), ვარნა მოითხოვს ჩვენგან მცნებათა მი-ანთა აქვთ ჩვენი კეთილდღეობა და ბენდიერება, და იცნო ტკბილის მიზანძვას და მისის მაგალითითა ხელმძღვანელობას. სწორედ ამისთვის განვგვიმარტა უფლამა: თუ გასურთ იყვეთ შვიდი მაშას თქვენისა სუტასას, იყვეთა სრულა, ვითარცა მამა თქვენა სუ-ცათა სრულად არს, რამაცა ყველა თვალხილვისათ-ვის ცხად არს, ვინაიდგან მწე მასა აღმოვალს ბა-რთვთა სუდა და კეთილთა, და ჰსწავოს მართლთა სუ-და და ცრუთა (მათე 5, 44 — 48), ე. ი. ადამიანი ისე უნდა სიესდეს კეთილთა საქმეთა, როგორც მწე განაზრევს სხივთა თვისთა განსატვომელად კე-თილთადა და უკეთურთადა. ამგვარად ყოველის ჩვენის მოქმედების საფუძველად უნდა დაიდვას მო-ყვასისამდელ განუზომელი სიყვარული, ის სიყვარუ-ლი, რომელა არს სამტკავე სრულებისას (კოლ. 3, 14), და რომელისათვისაც არ არსებობს არცა ურთი-ეება, არცა წარმართება, არცა მამა-კაცობა, არცა დედა-კაცობა, და რომელიც ერთ ნაირად შეიტ, კრძობს და განატვობს ყოველთა.

აი ეს მოძღვრება მოანიჭა ქვეყანას ამ 1908 წლის წინად ხორციელად განცხადებულმა მაცხო-ვარმა და სწორედ ამისათვის მიეგებნენ მის დაბა-ლებას გუნდნი ანგელოზთანი სულისა და გულის დაბატკნობელის გელოზობით: დადგება მადლთა შინს დემონს და ქვეყნისას სუდა მშვიდობას და კაცთა ში-რის სათნოებას. მართლდაც, არ გასულა ამის შემე-დღე ბევრი დრო, რომ ქრისტიანობა განხდა კი-დით კიდემდე, და ამის გამო შესამწევად იკლო კაცთა-შორის სიმძულვარემ, ამ წყარომ კაცთა უბედურობისამ — და ერთ ხანად გაიწმიდა შეგუბე-ბული ჰაერი და ადამიანმა ამოისუნთქა თავისუფ-ლად.

საუბედუროდ, დიდხანს ვერ გასტანა ამ სანე-ტარო დრომ: ჩინებულთა და ძლიერთა უმრავლე-სობამ, რომელთა მხოლოდ ვარვთვან შეიძოსეს ქრისტიან სარწმუნოება, აითვალწუნა ეს მოძღვრე-ბა, ვინაათვან იგი მოითხოვს აქროსის ბუჩისგან შე-სვლას სსსუფეველას და სჯიერედიითა ცხივთა (მათ. 7, 14), სიარულს ქვეყანაზედ, ადვირ — სსმად ყოვლი-სან გუჰმისს (იოკ. 3, 2) და ენებათა აღმოფხვრას რის გამო შეკრახანს მოძღვართა გულის თქმისა-ებრ თავის თვისას (2 ტიმ. 4, 3) და შეუდგა უცხოთა ღმერთთა სიმძულვარისა და ბიწიერებისას, რომელთაც მსახურებდნენ წარმართნი, — იმ იმე-დით, რომ ამ ურთი-ერთთა სიყვარულის მოძღვრე-ბის არ უღალატებდნენ ტვირთ-მძიმენი და მამე-



რალნი, მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ჩინებულითა მავალითს მიბაძეს უჩინოთაც, ჭეშმარიტებისაგან სასმუნელნი თვისნი გარე-შიიქნენ და ზღაპრებას მაექტნენ (2 ტომ. 4, 4), დაივიწყეს მხოლო კემარიტი ლმერთი და მის მიერ მოკვლინებული იესო ქრისტე და შეუდგნენ უცხოთა ლმერთთა სამსახურს. რაც მოჰყვა ამას—ყოველივე ცხადათ ვხედავთ: მამა აღარ ინდობს შვილსა და შვილი მამასა, ძმა-ძმასა და მოყვასი—მოყვასსა!

ამ ზომამდე მიგვიყვანა, საყვარლდნო, იესო ტკბილის მომღვრების დაგდება და უცხოთა ლმერთთა მსახურებამ,—სჩანს, რომ ამ გვირად ცხოვრება აღარ შეიძლება, ამისთვის, დროა მოვეგოთ თავსა ჩვენსა, შევიგნოთ ჩვენი მოვალეობა ღვთისა და მოყვასისადმი, ვიჯმნათ ეშმაკისაგან და ყოველთა მაცდურთა საქმეთა მისთაგან, შეუდგეთ ჩვენისა ცხოვრებისათვის განხორციელებულს ქრისტე იესოს, წრფელის გულით ვიზრუნოთ ურთიერთთა კეთილ-დღეობისათვის, და ამ სახით ანგედოზთა გუნდთა თანა ვადიდოთ მაღალთა შინა ღმერთი და ხელი შეუწყეთ ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების დამყარებას. ამინ.

მღვდ. კ. ცინცაძე.

### რედაქციისათვის.

რედაქცია აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წელშიაც საპრემიო წიგნები წარსული წლის „მწვემს“-ზე ხელის მომწვერთათვის იმავე ადგილებში იქნებიან დარიკებულნი საიდანაც მიიღეს 1907 წლის საპრემიო წიგნები. იმერეთის ეპარქიაში ხელი მომწვერთა უნდა მოიკითხონ ქუთაისში წიგნის მკაზმელ მეიერ შინოვიჩთან, შორაზნის მახარის ხელის მომწვერთა შეუძლიათ მიიღონ რედაქციის სტამბაში. თფილისის გუბერნიის ხელის მომწვერთა

შეუძლიათ მიიღონ იოსებ ბერეკელიძის წიგნის მალაზიიდან და დანარჩენი გუბერნიების მცხოვრებთა რედაქცია გაუკზავნის.

რედ.

## გ ა ნ მ ს ა ლ ე ბ ა .

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის ორ-პირიველ მწვერალს

XXV წ. „მწვემს“-ზე XXV წ. გ უ რ ნ ა ლ ი ს თ ა ს ი :

12 თეთრ 3 მან. - 6 თეთრ 2 მან.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ეგვილიაში—რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. 2. პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთი დაეთმობათ მთელის წლით ო რ მ ა ნ ე თ ა დ .


ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ეგვილიაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ უტრნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრისით: ВЪ Квирлиа, въ редакцію журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწვემსი“-სა, რომელნიც მანეთნახევრად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი რედაქტორ-გამომცემელი დეკნოზი დ. დამბაშიძე.



Дозволено Цензурою 30 Января 1909 года г. Кутаись

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე, 31 დეკემბერი 1909 წ.

სტამბა უტრნალის „მწვემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. დ. დამბაშიძისა) ეგვილია საკუთარ სახლში.